შპს სისტემ ნეტ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის და მასზე
გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 12

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა 12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 13
3. ძირითადი საშუალებები 19
4. წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში 20
5. სხვა გრძელვადიანი აქტივები 21
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 21
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 21
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 22
9. მიღებული სესხები 22
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 22
11. შემოსავალი რეალიზაციიდან 22
12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება 23
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 23
14. ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო) 23
15. სხვა მოგება (ნეტო) 23
16. ფინანსური ინსტრუმენტები 24
17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 24
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები 27

მმართველობითი ანგარიში 30

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

T: +955 322 438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს "სისტემ ნეტ"-ის დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს "სისტემ ნეტ"-ის (შემდგომში, ტექსტში, ტექსტში, ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებათაგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი *(ქვემოთ, თანხები მოცემულია ათას ლარებში, თუ სხვა გვარად არ იქნა მინიშნებული)*

ვალდებულებები. ჩვენ ვერ ჩავატარეთ პირდაპირი დადასტურების აუდიტის პროცედურები ჯგუფის შემდეგ ვალდებულებებზე: დივიდენდის, დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხისა და მოწოდებიდან და მომსახურების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნაწილზე 114, 88 და 67 ოდენობით 2022 წლის 31 დეკემბრისათვის. ამასთანავე, ჯგუფმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტები ამ დავალიანებების წარმოშობის შესახებ სხვა სახის ალტერნატიული აუდიტის პროცედურების ჩატარების მიზნით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ამ თანხებთან და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ანგარიშგების სხვა ფინანსურ ელემენტებთან, მათ შორის გაუნაწილებელი მოგების ნაშთებთან, დაკავშირებით. ამასთანავე, ეს ფაქტი წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც, შპს "სისტემ ნეტ"-ის 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 სექტემბერს გაცემული ჩვენი, როგორც აუდიტორის, დასკვნა იქნა მოდიფიცირებული. ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ვალდებულებების ციფრების (დივიდენდის, მიღებული სესხისა და მოწოდებიდან და მომსახურების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულებების 114, 90 და 72 ოდენობით 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შესაბამისად) შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში. ჯგუფს ერიცხება წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში ისტორიული ღირებულებით 228 ოდენობით 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის. ჩვენ ვერ დავადასტურეთ ამ ინვესტიციების ნაწილის 228 და 228 არსებობა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შესაბამისად. ჯგუფმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტები ამ ინვესტიციების ისტორიული ღირებულების დადასტურების მიზნთ. ჩვენ ვერ ჩავატარეთ აუდიტის პროცედურები ამ თანხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ამ თანხებთან, მათთან დაკავშირებულ ასახულ გაუფასურებასთან დაკავშირებით და ფინანასურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების

ნაშთებთან დაკავშირებით. ამასთანავე, ეს ფაქტი წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც, შპს "სისტემ ნეტ"-ის 2021 წლის ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 სექტემბერს გაცემული ჩვენი, როგორც აუდიტორის, დასკვნა იქნა მოდიფიცირებული. ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი წილობრივი ინვისტიციების შესადარისობაზე ამ საკითხების პოტენციური გავლენის გამო.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 2.15 -ე შენიშვნის - **საწარმოს უწყვეტობის პრინციპი -** ნაწილზე, რომელიც ასახავს, რომ:

„ჯგუფის, მომავალი, შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე:

- ჯგუფს ერიცხება სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავის ერთობლივად კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ 8,483 და 8,996 ოდენობით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის შესაბამისად. ჯგუფი პირდაპირ ფლობს ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტს, გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს.

- ჯგუფი წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. ჯგუფი ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	4,189	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	**4,189**	**3,804**

ჯგუფის მენეჯმენტი თვლის და გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების განეიტრალების მიზნით:

- ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსთან, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკის იმდაგვარად შეჯერებას, რომ არ მოხდება შეფერხება ჯგუფის მომავალი, ჩვეულებრივი ოპერირების;

- ჯგუფიდან წარსულში არ მომხდარა და არც მომავალში მოელის გარანტიის ფარგლებში რაიმე სახის ფულადი ან სხვა ეკონომიური სარგებლის გადინებას, ჯგუფი თვლის რომ საერთო კონტროლის ქვეშ მოფი კომპანია თავად მოემსახურება შესაბამის სესხებს.

ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის "დაშვება მართებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. " ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ჯგუფის უნართან დაკავშირებით საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემდეგ შენიშვნებზე:

> **კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 17.1-ე შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან)**, რომლებშიც მოცემულია კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სასამართლო საქმის დეტალები;

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთებთა მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მიერ 2023 წლის 28 სექტემბრით დათარიღებული კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და გარდა ქვემოთ მოცემულ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე "- ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ მოცემულ -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე" - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი "ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან

ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ “(შემდგომში, ტექსტში, კანონი) ჯგუფი პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 28 სექტემბრით დათარიღებულ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი”- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2023 წლის 28 სექტემბერი, თბილისი, საქართველო

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, ჯგუფის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2023 წლის 28 სექტემბერი, თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**3**	27,802	23,622
წილობრივი ინვესტიციები	**4**	176	176
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	**4**	-	137
სხვა გრძელვადიანი აქტივები	**5**	1,787	1,975
სულ გრძელვადიანი აქტივები		**29,765**	**25,910**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	**6**	722	12
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**7**	822	425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**8**	1,208	183
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,752**	**620**
სულ აქტივები		**32,517**	**26,530**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		283	283
გაუნაწილებელი მოგება		10,500	5,959
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		10,778	10,778
სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს		**21,561**	**17,020**
არამაკონტროლებელი წილი		585	-
სულ საკუთარი კაპიტალი		**22,146**	**17,020**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	**9**	589	90
გადასახდელი დივიდენდები		114	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**10**	9,532	9,220
საგადასახადო ვალდებულებები		136	86
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**10,371**	**9,510**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**32,517**	**26,530**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	27,802	23,622
წილობრივი ინვესტიციები	4	176	176
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	4	-	137
სხვა გრძელვადიანი აქტივები	5	1,787	1,975
სულ გრძელვადიანი აქტივები		**29,765**	**25,910**
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	722	12
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	822	425
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,208	183
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,752**	**620**
სულ აქტივები		**32,517**	**26,530**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		283	283
გაუნაწილებელი მოგება		10,500	5,959
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		10,778	10,778
სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს		**21,561**	**17,020**
არამაკონტროლებელი წილი		585	-
სულ საკუთარი კაპიტალი		**22,146**	**17,020**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	589	90
გადასახდელი დივიდენდები		114	114
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	9,532	9,220
საგადასახადო ვალდებულებები		136	86
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**10,371**	**9,510**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**32,517**	**26,530**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	7,202	4,002
გაყიდვების თვითღირებულება	12	(5,951)	(4,514)
საერთო მოგება		**1,251**	**(512)**
საიჯარო შემოსავლები (ნეტო)		624	681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,433)	(988)
ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	14	(243)	60
სხვა მოგება (ნეტო)	15	4,434	1,947
მიმდინარე წლის მოგება (სრული შემოსავალი)		**4,633**	**1,188**
მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		4,541	1,188
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		92	-
სულ მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული		**4,633**	**1,188**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	7,202	4,002
გაყიდვების თვითღირებულება	12	(5,951)	(4,514)
საერთო მოგება		**1,251**	**(512)**
საიჯარო შემოსავლები (ნეტო)		624	681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,433)	(988)
ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	14	(243)	60
სხვა მოგება (ნეტო)	15	4,434	1,947
მიმდინარე წლის მოგება (სრული შემოსავალი)		**4,633**	**1,188**
მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული:			
დედა კომპანიის მფლობელებს		4,541	1,188
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებს		92	-
სულ მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული		**4,633**	**1,188**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	9,734	5,604
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,737)	(5,469)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**1,997**	**135**
გადახდილი პროცენტი	(18)	(18)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**1,979**	**117**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(1,111)	(16)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	103	10
გაცემული სესხი	(100)	-
შვილობილი კომპანიის წილის გამოსყიდვა (განეტებული შესყიდული კომპანიის შესყიდვის მომენტში არსებულ ფულად ნაშთთან)	(100)	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	**(1,208)**	**(6)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	500	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**500**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**1,271**	**111**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	183	79
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(246)	(7)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**1,208**	**183**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2022 დასრულებული წლისათვის	31.12.2021 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	9,734	5,604
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,737)	(5,469)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**1,997**	**135**
გადახდილი პროცენტი	(18)	(18)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**1,979**	**117**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(1,111)	(16)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	103	10
გაცემული სესხი	(100)	-
შვილობილი კომპანიის წილის გამოსყიდვა (განეტებული შესყიდული კომპანიის შესყიდვის მომენტში არსებულ ფულად ნაშთთან)	(100)	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის (გამოყენებული)/მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	**(1,208)**	**(6)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	500	-
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	**500**	**-**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა	**1,271**	**111**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	183	79
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(246)	(7)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**1,208**	**183**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს	უმცირესობის წილი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	**283**	**4,771**	**10,778**	**15,832**	**-**	**15,832**
2021 წლის სრული შემოსავალი	-	1,188	-	**1,188**	-	**1,188**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**283**	**5,959**	**10,778**	**17,020**	**-**	**17,020**
შესყიდვის მომენტში აღიარება	-	-	-	-	567	**567**
2022 წლის სრული შემოსავალი	-	4,541	-	**4,541**	92	**4,633**
უმცირესობის წილზე განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-	(74)	**(74)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**283**	**10,500**	**10,778**	**21,561**	**585**	**22,146**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს	უმცირესობის წილი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	**283**	**4,771**	**10,778**	**15,832**	**-**	**15,832**
2021 წლის სრული შემოსავალი	-	1,188	-	**1,188**	-	**1,188**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**283**	**5,959**	**10,778**	**17,020**	**-**	**17,020**
შესყიდვის მომენტში აღიარება	-	-	-	-	567	**567**
2022 წლის სრული შემოსავალი	-	4,541	-	**4,541**	92	**4,633**
უმცირესობის წილზე განაწილებული დივიდენდი	-	-	-	-	(74)	**(74)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**283**	**10,500**	**10,778**	**21,561**	**585**	**22,146**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 28 სექტემბერს

ბნ ილია ინჯია, დირექტორი

ქნ მარი კილაძე, ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „სისტემ ნეტ“ ს/კ 205267423 (ჯგუფის დედა კომპანია) წარმოადგენს ინტერნეტის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოში.კომპანია მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2008 წლის 11 ნოემბერს, ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ (სს კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისიდან“ გამოყოფის შედეგად).

საქართველოს და კავკასიის რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კომპანია შპს „სისტემ ნეტ“ მოღვაწეობს 2008 წლიდან. შპს „სისტემ ნეტ“ მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან შპს „ფოპტნეტთან“ და „ახალი ქსელები“ ერთად, შედის ტელეკომუნიკაციების და ტექნოლოგიების ჯგუფში. კომპანია ახორციელებს აბონენტთა მომსახურებას ინტერნეტის გამოყოფილი არხების საშუალებით, გააჩნია საკუთარი დატაცენტრი. დატაცენტრი გამოიყენება როგორც საკუთრივ შპს „სისტემ ნეტ“-ის აპარატურის განსათავსებლად, ასევე კოლოკაციის სერვისებისთვის. კომპანია ახორციელებს ვებჰოსტინგის სერვისს. შპს „სისტემ ნეტ“-ის მომხმარებლები ძირითადად არიან მსხვილი კომპანიები და ინტერნეტპროვაიდერები. ასევე კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს საერთაშორისო ხმოვანი სატელეფონო ტრაფიკის გატარებას საქართველოსა და უცხოურ ქვეყნებს შორის. ამ მიზნებისათვის კომპანია იყენებს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლის ცისკოს საკომუტაციო მოწყობილებებს. საზღვარეთის პარტნიორ კომპანიებთან დასაკავშირებლად იყენებს როგორც პირდაპირ ასევე ინტერნეტის არხებს, ხოლო საქართველოს ფარგლებში იყენებს პირდაპირი ურთიერთჩართვის არხებს საქართველოს ყველა მსხვილ პროვაიდერთან. შპს „სისტემ ნეტის“ საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა თავის კუთვნილ შენობაში საოფისე ფართების და სათავსოების იჯარით გაცემა.შპს „სისტემ ნეტ“-ი დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ა.პოლიტკოვსაკაიას ქ., №42

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის ჯგუფის დამფუძნებლები და საწესდებო კაპიტალის მფლობელები არიან:

	პროცენტული წილი 31.12.2022 წლისთვის	**პროცენტული წილი 31.12.2021 წლისთვის**
ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622)	29.349	29.349
გიორგი იაშვილი (პ/ნ 01031004790)	2.028	2.028
ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232)	24.709	24.709
ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616); წილის მმართველი ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	15.318	15.318
ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190)	7.781	7.781
ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738)	5.714	5.714
თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596)	4.183	4.183
ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	4.149	4.149
ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643)	2.091	2.091
კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792)	1.699	1.699
ჯამბული გეგჭკორი (პ/ნ 01017000485)	1.171	1.171
ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917)	1.038	1.038
სხვა დამფუძვნებლები	0.770	0.770

ჯგუფის მაკონტროლებელი პირები არინ: ილია ინჯი, ფრიდონ ინჯია, ხათუნა ინჯია, ლალი რუხაია და ნაირა კვესელავა.

ჯგუფში გაერთიანებულია ერთად ერთი შვილობილი კომპანია - შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, რომელიც დაფუძნდა 1995 წლის 10 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ. რუსთავი და მის მიმდებარედ არსებული სოფლები; ქ. გარდაბანი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.კომპანია ფლობს შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ კაპიტალის წილის 49 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 49 პროცენტზე კონტორლი მოიპოვა

2008 წლის 19 ნოემბერს. 2022 წლის 11 მარტს შპს სისტემნეტმა შეიძინა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კოპრორაციის“ მესაკუთრე კომპანიების შემდეგი წილები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონემვაზია შიფინგ & თრეიდინგ (წილი 13%) და სააქციო საზოგადოება COSMOTE ტექნიკური სერვისები, (წილი 25%). შესაბამისად სისტემნეტის ჯამურმა პროცენტულმა წილმა შეადგინა 87%, რითაც მოიპოვა კონტროლი შპს “საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე”.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა,რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანაგრიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.1 კონსოლიდაცია

შვილობილი არის ყველა კომპანია, რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

ჯგუფის დედა კომპანიას გააჩნია ერთი შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, 2021 წლის 31 დეკემბრეს კომპანია ფლობდა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ კაპიტალის წილის 49 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 49 პროცენტზე კონტორლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს. 2022 წლის 11 მარტს შპს სისტემნეტმა შეიძინა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კოპრორაციის“ მესაკუთრე კომპანიების შემდეგი წილები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონემვაზია შიფინგ & თრეიდინგ (წილი 13%) და სააქციო საზოგადოება COSMOTE ტექნიკური სერვისები, (წილი 25%). შესაბამისად სისტემნეტის ჯამურმა პროცენტულმა წილმა შეადგინა 87%, რითაც მოიპოვა კონტროლი შპს “საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე”.

კონტრილის მოპოვება აღრიცხულია საწარმოთა გაერთიანება და აღრიცხულია შეძენის მეთოდით მსს ფასს 19 თავის შესაბამისად. საწარმოთა გაერთიანებით შედეგად მიღებული იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შეძენის თარიღისათვის სამართლიანი ღირებულებით. არამაკონტროლებელი წილს აღიარება ხდება ცალკეული შვილობილი კომპანიების მიხედვით, შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივების პროპორციული მეთოდით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია როგორც პერიოდის ხარჯი. ნაწილობრივი შესყიდვისას ადრე შესყიდული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულების და არაკონტროლირებული წილის ღირებულების გადამეტება/ნაკლებობა იდენტიფიცირებულ ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაზე აღიარდება გუდვილის/უარყოფითი გუდვილის სახით შესაბამისად.

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე, ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას, რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

2.2 შემოსავალის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.3 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის

მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერს	3.0976	3.5040
2022 წლის 31 დეკემბერს	2.7020	2.8844

2.4 ძირითადი საშუალებები

გარდა მიწა და შენობა ნაგებობების ჯგუფისა, ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მიწა და შენობა ნაგებობს ჯგუფი ასახულია გადაფასების მეთოდით. უკანასკნელი გადაფასება ჩატარებულია 2020 წლის 31 დეკემბრს. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ ბაზარზე მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ყოველი შეფასების თარიღისათვის. გადაფასების ნამეტი აისახება გადაფასების რეზერვში. მიწა და შენობა ნაგებობს სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შესადარისი გაყიდვების მეთოდის საფუძველზე. შესადარისი მიწის და შენობა ნაგებობა გასაყიდი ფასები შესაბამისად ჩასწორებულია შეფასებულ მიწის ძირითად მახასიათებლებთან განსხვავებების გამო. ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრი შეფასების მიდგომაში არის ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა-ნაგებობები	15-50
საკაბელო ქსელები	20-50
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-12
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და მანქანა-დანადგარები	4-22
სატრანსპორტო საშუალებები	5-6

2.5 **წილობრივი ინვესტიციები სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში**

ერთობლივად კონტროლირებად, მეკავშირე კომპანიების და ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტების (მსს ფასს მე-11 თავის მიხედვით) სახით წილობრივი ინვესტიციები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მსს ფასს მე-9, 11, მე-14 და მე-15 თავების შესაბამისად თვითღირებულების მოდელით (თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით), ინვესტირებული კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები აღიარდება კომპანიის მოგება ზარალში როდესაც დადგინდება დივიდენდების მიღების უფლება. ინვისტიციების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 4.

2.6 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

2.9 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

2.10 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.11 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.12 მოგების გადასახადი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას

და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფსაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.13 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფს არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.15 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. ჯგუფის მომავალი შეუფერხებელი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე:

- ჯგუფს ერიცხება სავაჭრო კრედიტორული დავალიანება თავის ერთობლივად კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს მიმართ 8,483 და 8,996 ოდენობით 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის შესაბამისად. ჯგუფი პირდაპირ ფლობს ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტს,

გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს.

- ჯგუფი წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. ჯგუფი ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	4,189	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	**4,189**	**3,804**

ჯგუფის მენეჯმენტი თვლის და გეგმავს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების განეიტრალების მიზნით:

- ერთობლივად კონტროლირებად საწარმოსთან, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაფარვის გრაფიკის იმდაგვარად შეჯერებას, რომ არ მოხდება შეფერხება ჯგუფის მომავალი, ჩვეულებრივი ოპერირების;
- ჯგუფიდან წარსულში არ მომხდარა და არც მომავალში მოელის გარანტიის ფარგლებში რაიმე სახის ფულადი ან სხვა ეკონომიური სარგებლის გადინებას, ჯგუფი თვლის რომ საერთო კონტროლის ქვეშ მოფი კომპანია თავად მოემსახურება შესაბამის სესხებს.

ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის “დაშვება მართებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

საეჭვო ვალების რეზერვი. ჯგუფის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, ჯგუფი ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმიდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. ჯგუფის მენეჯმენტი თვლის, რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 7).

დაკავშირებული პირების სესხების ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. ჯგუფი წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. ჯგუფი ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	4,189	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	**4,189**	**3,804**

ჯგუფი არ მოელის ამ თავდებობების ფარგლებში მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასავლებს, რის გამოც არ არის რამე სახის ანარიცხი აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან. ჯგუფს თავის კონტრაგენტთან აქვს მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სხვადასხვა სასამართლოების მიერ. კონტრაგენტის მოთხოვნის მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე ასეულ ათას ლარს. ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობა	საკაბელო ქსელები	სატელეკომ უნიკაციო ინფრასტრუ ქტურა და მანქანა-დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალებე ბი	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
01.01.2021	**16,109**	**-**	**3,188**	**466**	**662**	**6,722**	**27,147**
შეძენა	-	-	14	1	-	-	**15**
გადაფასების ეფექტი	-	-	-	(2)	(72)	-	**(74)**
31.12.2021	**16,109**	**-**	**3,202**	**465**	**590**	**6,722**	**27,088**
შვილობილი კომპანიის შესყიდვით შემოსული ძირითადი საშუალებები	1,459	1,263	775	171	38	-	**3,706**
შეძენა	19	187	718	44	-	-	**968**
გასვლა	-	-	(3)		(170)	-	**(173)**
31.12.2022	**17,587**	**1,450**	**4,692**	**680**	**458**	**6,722**	**31,589**
ცვეთა							
01.01.2021	**-**	**-**	**2,097**	**449**	**592**	-	**3,138**
პერიოდის ცვეთა	173	-	167	7	54	-	**401**
გასულების ცვეთა	-	-	-	(1)	(72)	-	**(73)**
31.12.2021	**173**	**-**	**2,264**	**455**	**574**	**-**	**3,466**
პერიოდის ცვეთა	201	42	217	17	14	-	**491**
გასულების ცვეთა	-	-	-	-	(170)	-	**(170)**
31.12.2022	**374**	**42**	**2,481**	**472**	**418**	**-**	**3,787**
ნეტო საბალანსო ღირებულება							
01.01.2021	**16,109**	**-**	**1,091**	**17**	**70**	**6,722**	**24,009**
31.12.2021	**15,936**	**-**	**938**	**10**	**16**	**6,722**	**23,622**
31.12.2022	**17,213**	**1,408**	**2,211**	**208**	**40**	**6,722**	**27,802**

დაუმთავრებელ მშენებლობაში ასახული 5,037 მიწის ნაკვეთის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, ვალდებულებები და შეზღუდვები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 17.5.

ახსნა-განმარტებით შენიშვნა (17.1)-ში მოცემული დავის ფარგლებში, ჯგუფის ყადაღადადებული აქტივების საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვევით:

	31.12.2022
მიწა და შენობა-ნაგებობები	1,430
საკაბელო ქსელები	1,408
სულ:	**2,838**

4. წილობრივი ინვესტიციები *სხვა საწარმოთა საწესდებო კაპიტალში*

	31.12.2022	31.12.2021
შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია(87 % წილი 2022 წელს და 49% 2021 წელს) (შვილობილი კომპანია)	-	137
შპს ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი – ფოპნეტი(50 % წილი) (ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო)	170	170
საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერია(34.36% წილი) (მეკავშირე საწარმო)	8	8
შპს საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერიას გაუფასურება	(8)	(8)
შპს პელიკომი(30% წილი) (მეკავშირე საწარმო)	44	44
შპს პელიკომის გაუფასურება	(44)	(44)
შპს ახალი ქსელები(10 % წილი) (ინვისტიცია ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვისტიციას მსს ფასს მე-11 თავის მიხედვით)	6	6
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები	**176**	**313**

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ დაფუძნდა 1996 წლის 05 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892330. კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული თანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის,ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით.კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ–ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ–ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან.კომპანია ფლობს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტის“ კაპიტალის წილის 50 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 50 პროცენტზე კონტორლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნომბერს 45% და 2009 წლის 15 ივნისს 5%.

შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ დაფუძნდა 1995 წლის 10 ნოემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204876081. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ. რუსთავი და მის მიმდებარედ არსებული სოფლები; ქ. გარდაბანი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.კომპანია ფლობს შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის“ კაპიტალის წილის 49 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 49 პროცენტზე კონტორლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს. 2022 წლის 11 მარტს შპს სისტემნეტმა შეიძინა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კოპრორაციის“ მესაკუთრე კომპანიების შემდეგი წილები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონემვაზია შიფინგ & თრეიდინგ (წილი 13%) და სააქციო საზოგადოება COSMOTE ტექნიკური სერვისები, (წილი 25%). შესაბამისად სისტემნეტის ჯამურმა პროცენტულმა წილმა შეადგინა 87%, რითაც მოიპოვა კონტროლი შპს “საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე”. კონტროლის მოპოვების შედეგად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ფინანსური ელემენტის განმარტება	**თანხა ათას ლარებში**
შესყიდვის მომენტისათვის არსებული ინვისტიციის სამართლიანი ღირებულება	2,137
შესყიდვის მომენტისათვის არსებული ინვისტიციის ისტორიული ღირებულება	137
სხვაბა მოგება რომელიც აღიარებულია სხვა მოგება ზარალში	**2,000**
დამატებითი 38 პროცნტის წილის შესყიდვის ღირებულება	541
სულ ჯამი	**2.541**
შესყიდული აქტივებისა და ვალდებულებების სამართიანი ღირებულება	1,424
უარყოფითი გუდვილი/მოგება რომელიც აღიარებულია სხვა მოგება ზარალში	**1,117**

შპს „ახალი ქსელები“ დაფუძნდა 1996 წლის 2 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732. შპს "ახალი ქსელები" წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონები მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი

მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს. კომპანია ფლობს შპს „ახალი ქსელების“ კაპიტალის წილის 10 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილის 10 პროცენტზე კონტორლი მოიპოვა 2008 წლის 19 ნოემბერს.

შპს „პელიკომი“ დაფუძნდა 1996 წლის 30 ივლისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204881716 და შპს „საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერია“ დაფუძნდა 1998 წლის 04 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 203858664,ორივე კომპანია მოღვაწეობს კავშირგაბმულობის სფეროში.კომპანია ფლობს შპს „პელიკომის“ კაპიტალის წილის 30 პროცენტს,ხოლო შპს „საკონსულტაციო-საშუამავლო კომპანია იბერიის“ კაპიტალის წილის 34,36 პროცენტს. კომპანიამ კაპიტალის წილების 34,36 და 30 პროცენტებზე კონტორლი მოიპოვა: 2008 წლის 19 ნოემბერს.

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31.12.2022	31.12.2021
მისაღები დივიდენდები	500	500
ჯგუფის ბლოკირებული საბანკო ანგარიში	1,287	1,475
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	**1,787**	**1,975**

ჯგუფის ბლოკირებულ საბანკო ანგარიშზე განთავსებულია 476 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული ანგარიში ბლოკირებულია ძირითად საშუალებებზე ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მოპოვებული საბანკო გარანტიების ფარგლებში. საბანკო გარანტია გაცემულია 1,179 მილიონ ლარზე და მისი მოქმედების ვადაა 2026 წლის 30 აპრილამდე. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში, ჯგუფის დაკავშირებული კომპანია, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, ასევე ჩამდგარია თავდებობაში, თავდებობის ლიმიტია 250 ათასი ლარი. ამ ურთიერთობების დამატებითი დეტალები მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 17.5.-ში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2022	31.12.2021
საწვავი	5	12
სათადარიგო ნაწილები	717	-
სულ მარაგები	**722**	**12**

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან	15,817	15,805
საეჭვო ვალების რეზერვი	(15,212)	(15,384)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	269	13
საეჭვო ვალების რეზერვი (ავანსები)	(58)	(9)
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	6	-
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	**822**	**425**

საეჭვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
1 იანვრის მდგომარეობით	**15,384**	**15,761**
შესყიდვის მომენტში შვილობილი კომპანიის საჭვო ვალების რეზერვი	**519**	**-**
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	(691)	(377)
31 დეკემბრის მიხედვით	**15,212**	**15,384**

საეჭვო ვალების რეზერვი (ავანსები) მოძრაობა:

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
1 იანვრის მდგომარეობით	**9**	**10**
შესყიდვის მომენტში შვილობილი კომპანიის საჭვო ვალების რეზერვი	**33**	**-**
გადაანგარიშება მიმდინარე პერიოდისთვის	16	(1)
31 დეკემბრის მიხედვით	**58**	**9**

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,048	80
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	160	103
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**1,208**	**183**

9. მიღებული სესხები

	31.12.2022	31.12.2021
მოკლევადიანი საბანკი სესხი (ლარებში)	501	-
მოკლევადიანი სესხები (დაკავშირებული მხარისგან დოლარში)	50	57
გადასახდელი პროცენტი (დაკავშირებული მხარისგან დოლარში)	38	33
სულ მიღებული სესხები	**589**	**90**

ბანკისგან მიღებული სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის - 14.94%. სესხი არის მოკლევადიანი, რომელიც უნდა დაიფაროს 2023 წლის 21 დეკემბერს. ჯგუფის სესხი უზრუნველყოფილია თავდებობით. თავდებობა და სოლიდარული სრული პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვს სხვა დაკავშირებული მხარეებს, რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ კომპანიასთან საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიებს.

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა დაუწესა ჯგუფს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა მიმართებაშიც ჯგუფი შესაბმისობაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რაც შეეხება დოლარში ნომინირებულ სესხს. სესხის პროცენტი განისაზღვრება ყოველწლიური სესხის ძირი თანხის 12 პროცენტით. სესხი არის ვადაგადაცილებული.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2022	31.12.2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	8,755	9,112
მიღებული ავანსები	612	56
გადასახდელი ხელფასები	72	43
დივიდენდის დავალიანება	83	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	9
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**9,532**	**9,220**

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	5,448	3,660
შემოსავალი სატელეფონო მომსახურებიდან	1,218	171
შემოსავალი სატელევიზიო მომსახურებიდან	288	-
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	94	107
სხვა შემოსავალი	154	64
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**7,202**	**4,002**

12. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
ინტერნეტ არხით მომსახურების ხარჯები	2,766	3,234
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	1,155	317
სატელევიზიო არხების შესყიდვის დანახარჯები	490	-
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	474	394
კომუნალური დანახარჯები	170	-
საწვავის ხარჯები	138	74
იჯარები (არხები და ფართები) დანახარჯები	61	-
რეგულირების გადასახადი	58	10
რემონტის დანახარჯები	29	-
ურთიერთჩართვისთვის გაწეული ხარჯები	15	-
მანქანის ხარჯები	9	9
სხვა თვითღირებულების ხარჯები	586	476
სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	**5,951**	**4,514**

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი	1,028	829
საგადასახადო ხარჯები	128	91
საკონსულტაციო ხარჯი	84	38
ბანკის მომსახურება	31	2
ცვეთა და ამორტიზაცია	17	7
გადახდილი ავანსების გაუფასურება	16	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	129	21
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**1,433**	**988**

14. ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
საპროცენტო ხარჯები	(27)	(29)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან (ნეტო)	(216)	89
სულ ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო)	**(243)**	**60**

15. სხვა მოგება (ნეტო)

	31.12.2022	31.12.2021
შვილობილი კომპანიის ინვესტიციის აფასება	2,000	-
შესყიდვის შედეგად მოგება უარყოფითი გუდვილი	1,117	-
სავაჭრო დებიტორების რეზერვის შემცირებით მიღებული მოგება	691	378
დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები	674	-
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	100	12
გაცემული სესხის გაუფასურება	(100)	-
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შედეგი	-	1,686
სუბსიდია	-	28
სხვა არასაოპერაციო ხარჯი (ნეტო)	(48)	(157)
სულ სხვა მოგება (ნეტო)	**4,434**	**1,947**

16. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,208	183
სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან (ნეტო)	605	421
სხვა გრძელვადიანი აქტივები (უზრუნველყოფაში ჩადებული საბანკო ანგარიში)	1,287	1,475
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	**3,100**	**2,079**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	589	90
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	8,755	9,112
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	**9,344**	**9,202**

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

***17.1* მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან.** ჯგუფს თავის კონტრაგენტთან აქვს მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთმოთხოვნები. ეს ურთიერთმოთხოვნები განიხილება პირველი ინსტანციით სხვადასხვა სასამართლოების მიერ 2019 წლიდან. კონტრაგენტის მოთხოვნის მონეტარული სიდიდე აჭარბებს რამოდენიმე ასეულ ათას ლარს. ჯგუფის მენეჯმენტი არ მოელის ამ პროცესიდან რაიმე სახის უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

17.2 სხვა სამართლებრივი პროცედურები. ჯგუფის წინააღმდეგ აღძრულია და მომავალშიც შესაძლოა აღიძრას სხვა სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება ჯგუფს ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

17. 3 საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის საგადასახადო ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა განსხვავებულ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. შედეგად, შესაძლოა ჯგუფს დამატებით დაერიცხოს გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ პროცესებიდან გამომდინარე და წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

***17.4* დაკავშირებული პირების სესხების ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა.** ჯგუფი წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხების. ჯგუფი ფლობს პირდაპირ ამ დაკავშირებული პირის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტს, გარდა ამისა, ჯგუფი და დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 6,480 ათასი ლარით. სესხების ნაშთები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხები	4,189	3,804
სულ ნასესხები საშუალებები	**4,189**	**3,804**

ჯგუფი არ მოელის ამ თავდებობის ფარგლებში, მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასავლებს, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში.

17.5 **- ძირთად საშუალებებში ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, შეზღუდვები და ნაკისრი ვალდებულებები**

5,037 თანხის - მიწა, რომელიც ასახული ძირითად საშუალებებში - დაუმთავრობელ მშენებლობაში, შესყიდულია შემდეგი სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე: 2016 წლის 21 დეკემბერს შპს „სისტემ ნეტმა “სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან, ელექტრონული აუქციონის ჩატარების გზით, შეისყიდა ქონება (17,313 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1-#10 შენობა-ნაგებობები, რომლებიც დანგრეულ იქნა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. ხელშერკულების 4.1.1. და 4.1.2. მუხლებში იყო გადმოცემული ძირითადი ვალდებულებები:

- 4.1.1 პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების “გაფორმებიდან არაუმეტეს 36(ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში „ქონებაზე “ან მის ნაწილზე სასტუმროს (არანაკლებ 120(ას ოცი) ნომრის მქონე) შექმნა (მათ შორის: ექსპლუატაციაში მიღება, აღჭურვა, ფუნქციონირების დაწყება, სასტუმროს ინფრასტრუქტურის მოწყობა (რაც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს) „ქონების “ან/და მისი ნაწილის შემოღობვას, ეზოს გამწვანებასა და გარე განათებას).
- 4.1.2 პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით უზრუნველყოს „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება.

ასევე, შპს „სისტემ ნეტს“ მოეთხოვა და წარადგინა საბანკო გარანტიები 1,179 მილიონ ლარზე. ამ საბანკო გარანტიის ფარგლებში, ჯგუფის დაკავშირებული კომპანია, რომელიც, ამავდროულად, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, ასევე, ჩამდგარია თავდებობაში, თავდებობის ლიმიტია 250 ათასი ლარი, რომელიც უზრუნველყოფს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას და ამავე ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას. საბანკო გარანტიების მოქმედების თავდაპირველი ვადა იყო 2020 წლის მაისამდე. ხელშეკრულებით პირგასამტეხლო განისაზღვრება ნაკისრი ინვესტიციის განხორციელებული ოდენობის 0,1 % და 500 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ჯგუფმა ვერ შეძლო 10 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება და სასტუმროს აშენება (10 მილიონიდან, მხოლოდ 1 მილიონ 90 ათასი შესრულდა) დადგენილ ვადებში, რომელიც 2019 წლის 24 დეკემბერს დასრულდა. 2020 წლის მარტში, ქონების ეროვნული სააგენტო, გარკვეული დამატებითი პირობების გათვალისწინებით, დაეთანხმა ჯგუფისთვის მიეცა დამატებითი ვადა 2023 წლის 21 დეკემბრამდე ხელშერკულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად.

2021 წლის 9 ივნისს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის ან პანდემიის დროს საპრივატიზაციო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან გართულებულობის შემთხვევაში, ქონების მმართველისთვის დასაბუთებული თხოვნით მიმართვის საფუძველზე, ქონების მმართველის წარდგინებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დასაშვები გახდა სახელშეკრულებო მხარის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების დადგენა ან ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

2021 წლის 28 დეკემებერს საქართველოს მთავრობამ გამოცა განკარგულება და დააკმაყოფილა ჯგუფის თხოვნა. განკარგულებით განისაზღვრა შემდეგი:

- **„განკარგულების მე-2 მუხლი** - ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „სისტემ ნეტმა“(ს/ნ 205267423), საქართევლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სისტემ ნეტს“ შორის 2016 წლის 21 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისა და ამ ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად, წარადგინოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის, არანაკლებ 30/04/2026 წლის ჩათვლით მოქმედი, ახალი/შეცვლილი საბანკო გარანტია.
- **განკარგულების მე-3 მუხლი** - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49 პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და 49 მესამე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „სისტემ ნეტი“ (ს/ნ 205267423) გათავისუფლდეს, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, საქართევლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „სისტემ ნეტს“ შორის 2016 წლის 21 დეკემბრს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად დასაკისრებელი/დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე ხელშეკრულების 4.1.1 და 4.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.“

ამ ბრძანების საფუძველზე, შესაბამის ხელშეკრულებაში 2022 წელს მოხდა შემდეგი ცვლილებები: სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა საბანკო გარანტია 1,000,000 ლარზე და 178,970 ლარზე, რომელთა მოქმედების ვადა

განისაზღვრა 2026 წლის 30 აპრილის ჩათვლით. 4.1.1. მუხლის მოთხოვნების შესრულების ვადები განისაზღვრა 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

10.01.2022წ. გაფორმდა ხელშეკრულება დეველოპერულ კომპანიასთან ნარდობისა და დეველოპერული პროექტის განხორციელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მიწაზე მომავალში განსახორციელებელ დეველოპერულ პროექტს და აშენებული უძრავი ქონების განაწილების დეტალებს.

ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენების ამსახველ ახსნა-განმარტებით შენიშვნა 19-ში მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ ურთიერთობების შესახებ.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები

	დამფუძნებლები	მაკონტროლებელი პირები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	212	12,537	1,871
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	(212)	(12,137)	(1,871)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	9	8,483	-
მიღებული სესხი	-	88	-	-
გაცემული სესხი	-	-	-	946
გაცემული სესხის გაუფასურება	-	-	-	(946)
გადასახდელი დივიდენდები	55	59	-	83
წინასწარ გადახდილი დივიდენდები	-	-	-	5
მისაღები დივიდენდები	-	-	500	-
შესყიდვები	-	-	2,865	1
რეალიზაცია	-	-	3,321	182
საპროცენტო ხარჯები	-	10	-	-
გაცემული სესხი	-	-	-	100
დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები	-	-	600	
განაწილებული დივიდენდი	-	-	-	74
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები				
დირექტორატი (ხარჯი) და სამეთვალყურეო საბჭო	62	206	-	289
გადასახდელი ხელფასის ვალდებულება	4	10	-	7

წილობრივი ინვესტიციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განამრტებით შენიშვნა #4.

2021 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის ჯგუფს დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	დამფუძნებლები	მაკონტროლებელი პირები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გროსი	-	212	13,325	1,850
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	(212)	(12,925)	(1,850)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	9	8,995	-
მიღებული სესხი	-	90	-	-
გაცემული სესხი	-	-	-	846
გაცემული სესხის გაუფასურება	-	-	-	(846)
გადასახდელი დივიდენდები	55	59	-	-
მისაღები დივიდენდები	-	-	500	-
შესყიდვები	-	-	3,335	6
რეალიზაცია	-	-	8,423	82
საპროცენტო ხარჯები	-	11	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები				
დირექტორატი (ხარჯი) და სამეთვალყურეო საბჭო	94	186	-	96
გადასახდელი ხელფასის ვალდებულება	4	5	-	7

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

მიწის შესყიდვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან - ძირითად საშუალებებში ასახული მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, შეზღუდვები და ნაკისრი ვალდებულებების განახლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 17.5.-ში. ჯგუფმა გაასხვისა ეს აქტივი და მასთან დაკავშირებული პრივატიზაციის პროცესიდან გამომდინარე ვალდებულებები და განვითარებასთან დაკავშირებული დეველოპერულ კომპანიასთან არსებული მოთხოვნები და ვალდებულებები მესამე პირზე. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან არსებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფი და ახალი მყიდველი სოლიდარულად აგებენ პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის აქტივთან დაკავშირებული საპრივატიზაციო ვალდებულების მყიდველზე გადაცემასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პროცედურები არ არის დასრულებული სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან.

სამეთვალყურეო საბჭო - 2023 წლის 31 აგვისტოს შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე/წევრი: გიორგი იაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ლალი რუხაია და წევრი ჯამბულ გეგეჭკორი.

დამფუძნებლები - 2023 წელს ჯგუფის დამფუძნებელი ფიზიკური პირების, ლალი რუხაიასა (პ/ნ 01007002598) და ავთანდილ იაშვილის (პ/ნ 01002004622) კაპიტალში წილი შეიცვალა სხვა დამფუძნებლების ხარჯზე და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის დამფუძნებლების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

	პროცენტული წილი
ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622)	29.897
გიორგი იაშვილი (პ/ნ 01031004790)	2.028
ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232)	24.709
ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616); წილის მმართველი ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	15.318
ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190)	7.781
ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738)	5.714
თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596)	4.183
ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598)	5.932
ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643)	2.091

კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792)	1.699
დავით დურგლიშვილი (პ/ნ 01001046602)	0.648

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „სისტემ ნეტი“-ს

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. ჯგუფი და მისი დამუშნებლები

შპს „სისტემ ნეტ“ ს/კ 205267423 წარმოადგენს ჯგუფის დედა კომპანიას და მას ყავს ერთი შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ს/კ 204876081.

შპს „სისტემ ნეტ“ (შემდგომში კომპანია) მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2008 წლის 11 ნოემბერს, ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ (სს კავშირგაბმულობის სამუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისიდან“ გამოყოფის შედეგად).

ჯგუფის დამფუძნებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების ახსნა-განამრტებით შენიშვნა #1.

2022 წლის 11 მარტს შპს სისტემნეტმა შეიძინა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კოპრორაციის“ მესაკუთრე კომპანიების შემდეგი წილები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონემვაზია შიფინგ & თრეიდინგ (წილი 13%) და სააქციო საზოგადოება COSMOTE ტექნიკური სერვისები, (წილი 25%). შესაბამისად სისტემნეტის ჯამურმა პროცენტულმა წილმა შეადგინა 87%, რითაც მოიპოვა კონტროლი შპს “საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე”.

შპს „სისტემ ნეტ“-ის საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

დღეისათვის ჯგუფის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „სისტემ ნეტ“-ს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც .

ჯგუფის დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანის მმართველობითი ანგარიშგებები წარდგენილია თითოეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე (https://reportal.ge/).

2. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავალების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმეტი თვლის რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის დირექტორის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერი.

ბნ. ილია ინჯია დირექტორი

მმართველობითი ანგარიში

1. ჯგუფი და მისი დამუშნებლები

შპს „სისტემ ნეტ“ ს/კ 205267423 წარმოადგენს ჯგუფის დედა კომპანიას და მას ყავს ერთი შვილობილი კომპანია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ ს/კ 204876081.

შპს „სისტემ ნეტ“ (შემდგომში კომპანია) მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 2008 წლის 11 ნოემბერს, ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ (სს კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი „ეგრისიდან“ გამოყოფის შედეგად).

ჯგუფის დამფუძნებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების ახსნა-განამრტებით შენიშვნა #1.

2022 წლის 11 მარტს შპს სისტემნეტმა შეიძინა შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კოპრორაციის“ მესაკუთრე კომპანიების შემდეგი წილები: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მონემვაზია შიფინგ & თრეიდინგ (წილი 13%) და სააქციო საზოგადოება COSMOTE ტექნიკური სერვისები, (წილი 25%). შესაბამისად სისტემნეტის ჯამურმა პროცენტულმა წილმა შეადგინა 87%, რითაც მოიპოვა კონტროლი შპს “საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე”.

შპს „სისტემ ნეტ“-ის საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

დღეისათვის ჯგუფის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „სისტემ ნეტ“-ს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც .

ჯგუფის დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანის მმართველობითი ანგარიშგებები წარდგენილია თითოეულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის საიტზე (https://reportal.ge/).

2. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

ჯგუფის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავალების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფის მენეჯმეტი თვლის რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის დირექტორის მიერ 2023 წლის 28 სექტემბერი.

ბნ. ილია ინჯია დირექტორი